

ლელა გაბური

ხაბაგშვო ჰოემები

2019



წიგნს ვუძღვნი

საბას, გიგის, ლენგინას, საბას, სამუელს, ვილიამს

და სხვა ბავშვებს

რედაქტორი: ამირან არაბული

მხატვარი: ნანიკო ბურდული

ყდის დიზაინი: მარგარეტ დაიაური

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
გამომცემლობა „კალმოსანში"

კონტაქტი:
ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com*
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

ISBN 978-9941-9714-3-3

არაგვის ჭალის ამბები

მეგობრები წაიჩხუბნენ

ეს ამბავი მოხდა ტყეში...
ტყე არც ისე უღრანია,
ალაგ- ალაგ პანტის ხე დგას,
უფრო მეტად ,მუხნარია,
თუ ჭალისკენ ჩაუყვებით,
იქ მაჟალოც ურევია,
თხილები ხომ ულევია.
ჰოდა, ერთხელ, პატარებო,
(გეტყვით ,სანამ დაიძინებთ),
რა ამბები დატრიალდა
ამ მშვენიერ ჭალის პირზე.
შემოდგომა იდგა ტყეში -
ქარვაჭრელი , ტკბილი, მსუყე,
თხილიც მწიფდა,
წაბლიც მწიფდა,
ვერ ნახავდით ერთსაც ფუყეს...
და ერთ დღესაც (აღარ მახსოვს
შაბათი თუ კვირა იყო),

გვარიანად იწვიმა და
ის-ის იყო გადაიღო,
რომ უეცრად მეზობლებში
ულმობელი ატყდა ბუნტი...

იქ რომ ტკბილი პანტა მწიფდა
და ცვიოდა პანტა-პუნტით,
ზღარბმა ტასომ დაიჩემა:
,,ჩირი იცის დედაჩემმა ,
ისეთი რომ, არნახული,
ამ ხის ახლოს არა ვნახო
მე არავის ნაფეხური!.''
იქ რომ მუხა ხრიდა ტოტებს,
რკო რომ ესხა ათი ფუთი...
გარს უვლიდა ბელი ვასო
ცქმუტვითა და
ფათი-ფუთით:
,,დედამ უნდა დამიმზადოს
საახალწლოდ ბატიბუტი,
ეს რკო მარტო ჩემია და
არ გაბედოთ მისვლა ახლოს,
იცოდეთ , რომ მაგრად ვბეგვავ,
აბა, ვინმემ ხელი ახლოს!''

ზღარბი ტასო, ბელი ვასო,
ციყვი ლოლა, გოჭი კოლა
ვერ შეთანხმდნენ ვერაფრით და
გაიმართა ოთხთა ბრძოლა...

ზღარბი თვლიდა ეკლის ნემსებს,
აბა, ერთი... აბა, ორი!
ლოლას კუდი აეჩეჩა,
შუბლზე ჰქონდა დიდი კოპი.
გოჭი კოლა სულ გაგიჟდა,
დინგით დაამტვრია გობი.
ბელი ვასო ბურდღუნებდა,
რკოებს ფშვნიდა ორი ტორით,
იყო თრთოლა, წრეზე რბოლა,
კაკლისა და თხილის სროლა.

ბოლოს ყველა დაიღალა,
აბა, ჩხუბი ვის არ დაღლის?!
სათამაშო მდელოსაკენ
გააპარეს ჩუმად თვალი.
პირველს ტასოს გაეცინა,
მერე ვასოს , მერე კოლას
და ღიმილის ნაპერწკალმა

ბოლოს ლოლაც აიყოლა...
სიცილი ხომ ყველა წყენის
წამალია ჯადოსნური ,
ჰოდა, უცებ მეგობრებმა
მოიბრუნეს ისევ გული.
კვლავ ერთმანეთს გაუწოდეს
ჯერ ხელი და მერე ხილი,
,,ჭირსამც წაულია ჩირი,
აჰა, შენ და არა მეო...
თუ უთქვენოდ ვჭამო რამე,,
იყოს ჩემთვის არამიო...”
ახალ წლამდე გაისმოდა
ტყეში მათი შეძახილი...

* * *

ყველგან მუდამ ლხინი იყოს,
ჭირსამც წაულია ჭირი.
მე არაგვზე ჩავიარე,
არც ნაპირი, არცა ძირი.
საბანში რომ ჩავიჭყიტე-
უკვე მოსულიყო ძილი..

ვასოს დაბადების დღე

ერთხელ კოლა ნებივრობდა,
ნიგოზს მიირთმევდა ჭყინტად,
უცებ თითქოს კეტი დაჰკრეს,
ორი თვალი დააჭყიტა:
,,-უი, როგორ დამავიწყდა,
სად გამოვყოფ ახლა თავსო,
დათუნიას, დრუნჩა- ვასოს,
დღეს ხომ იუბილე აქვსო!“
თქვა და საჩქაროდ წამოხტა,
(ასე უნდა რაინდობა!)
დინგი კარგად დაიბანა,
ყურები კი - დაიტოვა!
მიღრუტუნდა გარდერობთან,
ყველა უჯრა აჯღარუნა,
ქუდი ფეხზე ამოიცვა,

წინდა თავზე დაიხურა!
ეზოში ფრთხილად გავიდა,
შხეფებს ყრიდა არაგვი და
თოვლზე ფეხი დაუცურდა,
 ყირამალა გადავიდა.
გაღმა მეგობრებს გასძახა:
-აქეთ მოდით, ტასო, ლოლა!
ჩქარა, სანამ ბუნაგამდე
მისასვლელი დაითოვლა.
სანამ ვასოს ლურჯი ციგა,
ქარს და ნამქერს მიუყინავს,
საჩუქარი მოვუმზადოთ
და ვესტუმროთ იუბილარს!

 ციყვი ლოლა ფუღუროდან,
ყურს უგდებდა ცალი ყურით,
უფრო მეტად სახალისოს
ვეღარაფერს უყურებდით!
საყურეებად ეკიდა -
 თხილის ხმელი კუნწულები.
თან მეგობრებს გამოსძახა:

,,არ გავიგო საყვედური!
სულაც არ დამვიწყებია ,
უკვე ვაცხობ ვაშლის ღვეზელს...
ორი წუთი დამაცადეთ,
ფრჩხილები ვერ შევიღებე!“
ჟღალი კუდი აიპრიხა,
 გადაიცვა კარაკული,
  დედას ჩანთიდან მოჰპარა
ტუჩსაცხი და მანიკური.
ნეკა თითი მწვანე ჰქონდა,
ცერა ჰქონდა ღია ლურჯი!
...ასე იყო...ისე იყო...
ტყეში შობა თენდებოდა,
ფანტელები ცვიოდა და
ყველა ტკბილად ბერდებოდა.

ბელი ვასოს ბუნაგისკენ
გაემართნენ მეგობრები,
გოჭი კოლა თოვლს კვალავდა,
საქმე ჰქონდა ბევრზე ბევრი,
თან გოგოებს უყვებოდა
ჭალის ამბებს - სასაცილოს.
ხელში ჩამიჩი ეჭირა,

მხარზე ედგა ტიკით ღვინო,
ზღარბუნიას ზურგზე ეწყო
გოზინაყი სამი კილო,
 გზად ერთ წამსაც არ კარგავდა,
ჰანგებს თხზავდა საღიღინოს!
 ლოლა ისე დაღლილიყო,
აღარ ჰქონდა თავი სკუპის,
ქუდი თოვლში მოესროლა
ღვეზელს მიათრევდა კუდით.

როგორც იქნა მიაღწიეს,
 ვასოს ბუნაგს ფეხაკრეფით,
,,ალბათ, როგორ გველოდება!
ალბათ, როგორ ვენატრებით!“
მოამზადეს ტკბილეული,
 ნუგები და ჩამიჩები,
მაგრამ ,ჰოი, საოცრებავ,
არსაიდან ჩამიჩუმი!

 ერთი სული ჰქონდა ყველას,
რომ გემოზე ენავარდათ,
,,სად ხარ, ვასო, კარში გამო,

ნახე, გარეთ ვინა ვართო!!...“
ბუნაგს ირგვლივ მოუარეს,
არვინ გასცა ხმა შიგნიდან...
ყველამ მხრები აიჩეჩა,
რაში არის ნეტავ საქმე?!
იქნებ დაბადების დღეზე
სტუმრადაა დრუნჩა სადმე?!

ბოლოს ველარ მოითმინეს,
არც აცხელეს, არც აციეს,
წნელის ღობე გადასწიეს
და ბუნაგში შეიჭყიტეს:
,,ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება?!“
კოლა სიმწრისგან იცინის,
დრუნჩას თათი უდევს პირში,
მშვიდად სძინავს ზამთრის ძილით...

ატყდა დიდი ჟრიამული,
ყიჟინა და ტაშისცემა,
კოლამ უთხრა- ტასოს, ლოლას:
,,სხვანაირად არ იქნება!

ვასო უნდა გავაღვიძოთ,
მაგრად დასცხეთ დაფდაფიო,
არ დამიწყოთ დათვის წესი,
და დათვების ადათიო...
დღეს ახალი წელი არის,
 ახალი წლის შაბათიო..“

დაესივნენ მეგობრები,
უჯიკეს და აგორავეს,
დრუნჩა ისე ბურდღუნებდა,
ხმა გავიდა იმ გორამდე...
გააღვიძეს, მოილხინეს,
იცინეს და გააცინეს,
სიხარული ჭერს სწვდებოდა,
მერე ჭერსაც ააცილეს.
მეც იმ ტყეში ვიყავ გზადა,
ვარ ამ ამბის მეც ზიარი,
ჭირი იქ და ლხინი აქა,
როგორც ზღაპრის წესი არი...

რეინჯერი თომა

გაზაფხულდა, გამოცოცხლდა,
ჭალის ყველა ბინადარი,
მზის სხივებით მოფენილი,
 აბიბინდა მთა და ბარი...
გაელვიძათ თაგუნიებს,
ცუნცულებენ ზვინის ახლოს,
ზოგი სოროს ალაგებს და
ზოგიც თავის კარ-მიდამოს...
მთელი ზამთრის უნახავი,
მოიკითხეს ერთმანეთი,
თაგვმა -ჩიტი , ჩიტმა- ზღარბი,
მეზობელმა- მეზობელი.

გავიხედოთ და სირბილით,
ჭალაში ტასო გამოჩნდა,
 მოესროლა ხილის ხონჩა,
კისრისტეხით გამორბოდა...
ჭიანჭველის გორაკებზე-
საიდუმლო სავალებით,
ციყვი ლოლას სანახავად
იჩქაროდა გამალებით.
იქით-აქეთ თვალს ავლებდა
ტყის უღრანებს დაძაბული,
სახეზედაც შეატყობდით,
რომ გაეგო რაღაც ცუდი.
ფიჭვის ხეზე გირჩებს თლიდა,
თვალი მოჰკრა ლოლამ ტასოს,
ძირს დაეშვა და სულ მალე ,
ხის ქვეშ დასხდნენ საჭორაოდ...

ნუ იტყვით და რა ყოფილა,
ამ ამბავის ანაბანა,
მდინარეზე რომ ჩავიდა,

ტასო პირის დასაბანად,
გაიხედა და რას ხედავს:
იმ სოფლიდან, ახოს გაღმა ,
ორი კაცი ჩამოსულა
და არაგვთან ჩამომჯდარა.
ერთი ცოტა პირხმელია,
მეორე კი - ცოტა ზორბა,
და უეცრად ტასომ მათი
საუბარი გაიგონა...

,,გავიხედე იმ დღეს, ძმაო,
(ჰყვება ერთი, უფრო ზორბა),
პაპაჩემის დარგულია,
ბექზე დიდი ვაშლი რომ დგას,
სულ მთლად ჩამოულეწიათ,
აღარა აქვს საღი ტოტი,
მანდ ნამდვილად დათვი დადის,
შეიძლება იყოს ღორიც...
შევიკრიბოთ ერთად ყველა
მონადირე ძმაკაცები,

გავიდეთ და თავს დავესხათ,
არ დავტოვოთ აღარცერთი!“

ეს რომ ტასომ გაიგონა,
გააჟრჟოლა ტანში მწარედ,
გაახსენდა , გუშინ მთელ დღეს
 მაგ ხის ძირას ითამაშეს.
ოთხივენი ერთად იყვნენ:
ტასო, ვასო,
 კოლა, ლოლა!
იცელქეს და იხტუნავეს,
უხაროდათ ერთად ყოფნა!
გაუგია, იცის ტასომ,
(თუმცა ,ზღარბებს არვინ ერჩის),
,,მონადირეს ‘’ ეძახიან,
მაგ თოფიან კაცებს ტყეში.
დაგეშილი ძაღლები ჰყავთ,
არვინ გამოეპარებათ,
არ იციან არც ფრინველის,
არც ცხოველის შებრალება...

ახლა რა ვქნათ?! - ღელავს ლოლა,
ახლა რა ვქნათ?! - ღელავს ტასო,
მეგობრებს თუ საფრთხე ელის,
ჩვენს მეტი ვინ დაიცავსო?!
ვიდრე ყველას დაგვხოცავენ
და დამდგარა ჩვენი ჯერი,
სოფელში უნდა გავიქცეთ,
ვნახოთ თომა რეინჯერი.
მანამდე კი...(ტყეში ბევრი
ქვაბული და ულრანია),
სადმე უნდა გადავმალოთ
ღრუტუნა და ბურდღუნია.
თქვეს და კიდეც შეასრულეს,
(უყვართ საქმე, გადაჭრილი)
თომასთან შაშვი აფრინეს,
უთხრეს თავის გასაჭირი...

რეინჯერი თომა- ბიჭი ,
დაჩაგრულთა ქომაგია,
ტყესაც იცავს , მდინარესაც,
მარდია და ყოჩაღია...

უმალ გაჩნდა ჭალის პირზე,
ცხოველები დაამშვიდა,
ხედავთ, ქოხს რომ აშენებენ?
მანდ იქნება ჩემი ბინა.
ნურაფერზე ნუ ინაღვლებთ,
 ვერვინ მოვა თქვენს ახლოსო,
მე ყოველდღე აქ ვიქნები,
დილასა და საღამოსო.

იმ დღის მერე ჩვენს ჭალაში,
სიმშვიდეა სრული ყველგან,
ცხოველების შეშინებას,
ვეღარავინ ვეღარ ბედავს.
პატარებო, მინდა გთხოვოთ,
თქვენც წახვიდეთ მთაში ეგებ
და თომა ბიჭს -ამ საქმეში
მიეხმაროთ, როგორც შეძლებთ.
თან გაერთეთ, ითამაშეთ,
გადაავლეთ ჭალას თვალი,
ტყის დაცვა და გაფრთხილება,
 ყველას წმინდა ვალი არის!

ტასო მოიტაცეს...

ერთხელ ტასოს უსაქმურად
გადაედო ფეხი ფეხზე,
 თვალს ავლებდა ჭალის პირზე
ასკილების ფერად მესერს.
,,მე მინდა, რომ ეს დღე იყოს,
უცნაურად სხვანაირი,
დღეს არც ეზოს დავალაგებ,
არც წყაროზე არ ავივლი.
უნდა ვიწვე, აი, ასე,
ცხვირი მედოს ჭილობს ზემოთ,
არაფერს არ გავაკეთებ,
მარტო უნდა ვიოცნებო!

ჩვენს ჭალაში მოსაწყენი
 წესია და კანონიო,
 გაგონილა ამხელა ტყეს,
 არა ჰქონდეს სალონიო.
აღარ მინდა რუხი თმები,
და ეკლები - ყველა შავი,
მინდა ქურქი შევიღებო
და ფერადი მქონდეს ტანი.
რომ მოვირთო ჭრელი კაბით,
ვიმღერო და მითხრან ბანი,

ხელში მქონდეს ოცი ბუშტი ,
მეორეში -ოცდაათი...
არ დავადო თათზე თათი,
ვინატრო და გაჩნდეს წაბლი,
რა იქნება, რომ ამიხდეს,
ეს ოცნება თუნდაც წამით.
მენატრება მხიარული,
ცეკვა, მღერა, განდაგანი,
გაგონილა, ჯერ ჭალაში
არ გვქონია კარნავალი?!“..
ზღარბუნიამ იწუწუნა,
იოცნება კარგა ხანი,
ბოლოს, ესეც მოსწყინდა და
მოინდომა ტკბილი წაბლი.

ოჰ, რა გემრიელი იყო,
ახლაც ახსოვს მისი გემო,
მაგრამ დედამ გააფრთხილა,
არ იარო იმ ხისკენო.
რადგან ერთხელ მაგ წაბლის ქვეშ
თურმე ხაფანგი დაეგოთ,
შიგ გაება მელაკუდა,
გზად წვრილ-შვილით მიმავალი
და იმ დღიდან სამუდამოდ
გაქრა ტყიდან მისი კვალი.
ბავშვებმა სად წაიყვანეს,
ვეღარავინ ვერ გაიგო,
არ იცოდნენ მელაკუდა
ცოცხალი თუ მკვდარი იყო.

,,ჰო, მანდ გავლა საშიშია,
მაგრამ მე ვარ ძალზე ფრთხილი,

არაფერიც არ მომივა,
ნელა, ყურადღებით ვივლი...
ისე მინდა წაბლის ჭამა,
მიკაწკაწებს ყველა კბილი.
რას დამაკლებს მე ხაფანგი,
როცა ვიცი ყველა ფანდი,
 დედა სულ ტყუილად წუხდა,“ -
თქვა ტასომ და წაცუხცუხდა.

ფეხაკრეფით იარა და
მალე გაჩნდა წაბლის ხესთან,
 ფრთხილად ყურები დაცქვიტა,
იქით -აქეთ გაიხედა.
იფაჩუნა ნეკერჩხალის
და წიფელის ფოთლებს შორის,
გაიფიქრა: ,,აი, ხომ ვთქვი,
სულ ტყუილი იყო ჭორი.
რა ხაფანგი, რის ხაფანგი,
აქ არავინ არა ჩანსო,
 გემრიელად გეახლებით,
თან წავიღებ სავსე ჯამსო.

წაბლის ჭამას შეუდგა და
არ გასულა ხუთი წუთი,
რომ უეცრად ხის ტოტიდან
მძიმედ მოწყდა რკინის ყუთი.
თურმე ხეზე დაუგიათ,
 ბავშვებს მახე გასაჭიმი,
ჩამოვარდა და დაეცა,
დაამწყვდია ტასო შიგნით...
შეეშინდა ზღარბუნიას,
ვერ გაბედა გაშლა მუხლის,
შეიმალა თავის ქურქში,

გახდა ,როგორც ეკლის ბურთი.
საცოდავმა ვერ გაუძლო,
თავს დატეხილ შიშს და წუხილს,
მოეკვეთა მუხლები და
წაუვიდა საწყალს გული.

არვინ იცის ამის მერე,
რა იყო და როგორ მოხდა,
რამდენი დღე გავიდა და
ვინ გაიგო ტასოს ოხვრა.
როცა თვალი გაახილა,
თბილად იწვა ლამაზ ქოხთან,
დაბლა ეგო ჭრელი ნოხი,
ზედ ეხურა შალი კოხტა.
გვერდზე ედგა ჯამით რძე და
 წაბლიც ეწყო ერთი გორა.

დაინახა პაწაწინა,
ცისფერთვალა გოგო იქვე,
 გულამოსკვნით ტიროდა და
  იძახოდა ასეთ სიტყვებს:
,,ნეტავ, ჩემი ზღარბუნია,
ასე რომ მჩხვლეტს, არ რცხვენია?!
ამდენ ხანს რომ მებუტება,
ნუთუ ისევ ნაწყენია?
არც რძეს სვამს და არც წაბლსა ჭამს,
ზედაც კი არ შემომხედა,
რა მოხდება, შემირიგდეს,
მეთამაშოს, სთხოვე, დედა!
მე ხომ იგი ძლიერ მიყვარს,
როგორ მინდა ვნახო ახლოს,
როგორ მინდა მოვეფერო,
ციცქნა ცხვირზე ხელი ვახლო.“

შეებრალა ტასოს ბავშვი,
ეკლის ქურქი გადაშალა
და გალიის კარებისკენ
წაცუნცულდა ჩქარა-ჩქარა.
თან ფიქრობდა: ,,ლამაზია
ეს გოგონა და კეთილი,
ნამდვილად სჯობს, რომ არ ვიყო,
გალიაში ჩაკეტილი.
გავიდე და ვეთამაშო,
გავუხარო ყველას გული
თან ვუამბო ტყის ამბები,
აქეთური, იქითური.
არაფერს არ დამიშავებს,
ისე მივლის მოფერებით,
ეტყობა რომ მართლა უყვარს
ამ გოგონას ცხოველები“.

თქვა და თბილად გაიღიმა,
გახალისდა ჩვენი ზღარბი,
აღარც სახეს მალავდა და
აღარც შეუყრია წარბი.
ცხვირი გარეთ გამოყო და
გადაავლო ეზოს მზერა,
,,რა ლამაზი დღეობაა!“
ტასომ თვალს არ დაუჯერა:
აივნიდან - ოთახამდე,
გაეჭიმათ მავთულები,
ზედ ეკიდა ნაირფერი
მოჩახჩახე ნათურები.
გაისმოდა მხიარული
სიმღერის და ცეკვის ჰანგი
და გოგონაც მორთულიყო

ბრჭყვიალა და ლამაზ კაბით.
ყვავილები იყო ყველგან -
ტიტა, ვარდი, ბეგონია,
 თურმე ამ დღეს ჩვენს გოგონას,
ბაღის ზეიმი ჰქონია.

,,მინდა, ჩემი ზღარბუნია,
რომ დაესწროს წვეულებას,
 კარგად უნდა გამოვპრანჭო,
და ეკლები შევუღებო“...
თქვა გოგონამ და იმ წამსვე,
(ბევრი აღარ დაახანა),
ჩასვა ტასო კალათაში,
სახლისაკენ გააქანა.
გადმოაწყო კარადიდან,
ფუნჯები და საღებავი
და სტუმრები გააკვირვა
საოცარი ნახელავით:
შეუღება ტასოს ქურქი
და ეკლები ოქროსფერად,
თავზე ბაფთა დაუბნია
და ნიღაბიც გაუკეთა.
ტასო ცერზე დატრიალდა,
ნუთუ, ახდა მისი ნატვრა?!
მხიარული კარნავალი,
ნუთუ მართლა, გაიმართა?!.
,,კი, ასეა, მეგობრებო,
(ჟრუანტელი უვლის ტანში),
მართლა ხდება ოცნებები!“-
თქვა ტასომ და დასცხო ტაში.
 მთელი ღამე იზეიმეს,
(ასე იყო, დამიჯერეთ...)

ბრჭყვიალებდა, ტრიალებდა
 კიბე, ღობე, სახლი, ჭერი,
მაგრამ მაინც ხომ მთავრდება
საბოლოოდ ყველაფერი...
ჰოდა, აქაც ასე მოხდა,
 ბოლო ცეკვის დადგა ჯერი,

დაიშალნენ სტუმრები და
შინ წავიდნენ აჩქარებით...
დაიცალა სავსე   სახლი ,
ჩაქრა ჭრელი მაშხალები,
ყველაფერი როგორც იყო,
დაუბრუნდა ძველ კალაპოტს,
თავსხმა წვიმა მოვიდა და
ამოავსო ეზო ტლაპომ...
შეიყუჟა თავის ქოხში,
მოიწყინა ზღარბმა ტასომ,
გაახსენდა მეგობრები,
დედა, კოლა, ლოლა, ვასო...
,,კარგი იყო კარნავალი,
მაგრამ ახლა სახლში მინდა!
ნეტავ როგორ გავიპარო,
ამ დაკეტილ გალიიდან?!
რომ დამკარგა ჩემმა დედამ,
ალბათ დარდით შეიშალა,
ალბათ როგორ მელოდება,
ჩემი ტყე და ჩემი ჭალა...“
ამ ფიქრებში ჩაეძინა,
ძილს ცრემლებიც ჩააყოლა,
დაესიზმრა, კვლავ არაგვზე,
თამაშობდნენ ის და ლოლა,
 დაესიზმრა, რომ ტყუპ თხილზე
ისევ ჩხუბი მოუვიდათ,

კოლამ ვასო წყენის გამო
ისევ ჩამოაგდო ხიდან...

მეორე დღე რომ გათენდა,
(ალბათ გულმა უგრძნო რაღაც),
გოგომ დედას დაუძახა,
და სურათი დაანახა...
,,ნახე, წიგნში რა წერია,
კარგი მოვლა ჰქონდეს თუნდაც,
ტანჯვა არის ცხოველისთვის
ტყვეობაში ყოფნა მუდამ...
გადავწყვიტე წავიყვანო
და გავუშვა ისევ უკან,
მე მგონია ზღარბუნიას,
ტყეში ყოფნა ურჩევნია!“

მართლაც , ჩასვეს კალათაში,
ტასო , როგორც ცელქი ბავშვი,
გზას გაუდგნენ არაგვისკენ
და ჭალაში გაჩნდნენ წამში...

გაიხარა ზღარბუნიამ,
მოირბინა არემარე
,,ვაითუ ვერ მიცნოს დედამ,
მოდი, წყალში ჩავალ ბარემ...“.
პაწაწინა ნაკადულში,
ჩაყო თავი ერთი ციდა,
კარგა ხანი იჭყაპუნა,
საღებავი გაიცილა
და მოკურცხლა შინისაკენ,
 დარდი ყველას გვამყოფინა,

ჭირი იქ და ლხინი აქა,
ზღაპრის ბოლოც აქ ყოფილა...

კოლას შეხვედრა შინაურ გოჭებთან

ერთ საღამოს პანტის ძირას
თამაშობდა გოჭი კოლა,
თან ფიქრობდა : ,,სად არიან
ბელი ვასო, ტასო, ლოლა?!
თხილს ფესვებიც მოვუთხარე,
ორღობეშიც ვითარეშე,
მაგრამ მაინც ვერ ვერთობი,
მოვიწყინე მათ გარეშე“.
მეგობრების მოსაძებნად,
ჭალის ბილიკს გაჰყვა კოლა
და უეცრად შორიახლოს,
ღრუტუნის ხმა გაიგონა.

,,ეს რა არის?- გაუკვირდა,
 რაღაც ნაცნობ ხმაურს ჰგავდა,
დავიჯერო, რომ სხვა გოჭი,
 კიდევ არის აქ ჩემს გარდა?!“
 არაგვს ქვემოთ,ხიდის ძირას ,
ჩანს საღორე ძველისძველი,
ეგ გიგიამ ააშენა
ფიცრებით და რკინის ძელით.
მაგრამ უკვე რახანია,

მანდ არავის უცხოვრია,
საკოცონე ფიჩხი ყრია
 და დღედაღამ არის ღია.
კოლამ ყური მიუგდო და
კვლავ მოესმა ხმა ჭყვიტინის,
წნელის ღობე გასწია და
დარჩა თვალებდაჭყეტილი:

საღორეში მხიარულად,
გორაობდა და-ძმა გოჭი,
კუჭი ერქვა გოგო-გოჭს და
მის ტყუპისცალს ერქვა -მაჭი.
ოჰ, ლამაზი იყო კუჭი,
კოჭზე ჰქონდა წყვილი ხალი,
კოლას გულში ჩაუვარდა,
ვერ მოსწყვიტა დიდხანს თვალი.
 მერე პანტა გაუწოდა:
,,ჭამეთ, ხილი არის მწიფე!“
ერთმანეთი გაიცნეს და
ცოტა კიდეც გაიცინეს.

კუჭი კოლას უღიმოდა,
უყურებდა უცნაურად:
,,ჩვენ ოჯახის ღორები ვართ,
თქვენ არა ხართ შინაური?“

კოლამ ტალახი გაუსვა,
უხეშ ჯაგარს უხერხულად:
,,ოჰ, რას ამბობ!- გაიფიქრა,
დიდიც ვინმე ბრძანებულხართ!“
,,ვიცი, ვინც ხართ, გამიგია!“-
უპასუხა ალამაცერად:
ბუთქუნები, ფითქინები,

ზანტები და ზარმაცები.
შენ ხარ გოჭი შინაური,
მე ვარ გოჭი გარეული,
შენ გაქვს კოჭი- წინა ორი,
წყვილი ხალით მოხატული...
მაგრამ , აბა, ბიჭობაში,
აბა, იქით გაქცევაში
და აქეთ გამოქცევაში,
ტკბილად ჩაღრუტუნებაში,
მწარედ- ჩაჭყვიტინებაში,
დინგით ორმოს ამოთხრაში,
ტლაპოების მოწყობაში,
მერე შიგ გაგორებაში...
ყურის დაპარტყუნებაში,
თვალის დაპაჭუნებაში,
შემეჯიბროს ბარე ორი,
ვინც არ არის - გარეული.
საკვებს თვითონ მოვიპოვებ,
უსაქმურად არა ვგორავ,
ვიკვებები ტყის ნაყოფით,
 არ მივირთმევ გამხმარ კორმას!

უცებ მაჭიმ ტაში დასცხო:
,,ყოჩაღ, ყოჩაღ, ბრავო, კოლა!!
 ტყეში ყოფნა მაგარია,
სირცხვილია ასე წოლა!“

კოლამ უფრო მოუმატა,
(გაუარა რიდმა, შიშმა...)
,,ვინ დაგარქვათ სახელები,
იცით მაინც ეგ რას ნიშნავს?!“
გამოდის ,რომ მაგ თქვენს პატრონს
მხოლოდ სადილად უნდიხართ,
 მისთვის მხოლოდ კუჭმაჭი ხართ

და დაგცინით თან უტიფრად!

კუჭს და მაჭის ისე შერცხვათ,
გაუწითლდათ ყველა ხალი,
თქვეს: სასწრაფოდ მოვიფიქროთ
სახელები ჩვენ ახალი.
მაჭიმ უთხრა ტყუპისცალ დას:
,, ჩემო კუჭი, გამიგონე,
ჩამოვეხსნათ ამ საღორეს,
გადავევლოთ თავზე გორებს.
თორემ მართლაც გამოგვზრდიან
ქატოთი და ვერმიშელით
და როდესაც ქონს მოვისხამთ,
ვეღარავინ ვერ გვიშველის.
ნუთუ მოგწონს ასე ყოფნა?
(მაჭიმ დასვა ბოლო კითხვა!)
 გინდა დაგვკლან და მათ სუფრა
დავუმშვენოთ ბოლოკითო?!
რა სჯობია თავისუფლად
ბუნებაში ყოფნას, ნავარდს,
ჩვენც ვიქნებით ყოჩაღები,
სადაც გვინდა ყველგან წავალთ.
ჩვენც ვიცხოვრებთ ამ ჭალაში,
ტყის ცხოველთა ყაიდაზე,
თითს ვერავინ დაგვაკარებს
ვჭამოთ რკო და გავიზარდოთ...
ნახე, კოლა რა ბიჭია!
(სწორედ ასეთ რაინდს ვეძებ!)
იმედი მაქვს შეგვასწავლის
,,გარეულად“ ყოფნის წესებს...
დაეთანხმა კუჭი მაჭის
და კარს ეცნენ სიხარულით ,
ტყისკენ ისე მოკურცხლეს, რომ

არ რჩებოდა ნაფეხური...
აი, ასე უნდოდათ და
ასე გააგორეს კოჭი,
ცოტა ხანში ჩვენს ჭალაში
 თამაშობდა სამი გოჭი.

შინაარსი

მეგობრები წაიჩხუბნენ 3

რეინჯერი თომა 20

ტასო მოიტაცეს 28

კოლას შეხვედრა შინაურ გოჭებთან 44